საქართველოს მთავრობის

დადგენილება

N 86 2019 წლის 15 თებერვალი ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ეროვნული საშენი მეურნეობის რეორგანიზაციისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს შექმნის შესახებ

მუხლი 1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ეროვნული საშენი მეურნეობა რეორგანიზებულ იქნეს (გარდაიქმნას) და მის ბაზაზე შეიქმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ველური ბუნების ეროვნული სააგენტო.

მუხლი 2. სსიპ – ველური ბუნების ეროვნული სააგენტო ჩაითვალოს სსიპ – ეროვნული საშენი მეურნეობის უფლებამონაცვლედ.

მუხლი 3. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განახორციელოს:

1. სსიპ – ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს სახელმწიფო კონტროლი.

2. სსიპ – ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცება და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნა.

მუხლი 4. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და სსიპ – ეროვნულმა საშენმა მეურნეობამ უზრუნველყონ ამ დადგენილებით გათვალისწინებულ რეორგანიზაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება (მათ შორის, სსიპ – ეროვნულ საშენ მეურნეობაში დასაქმებული პირების უკონკურსოდ გადაყვანა/გადანიშვნა შესაბამის თანამდებობებზე).

მუხლი 5. დადგენილებით გათვალისწინებული რეორგანიზაცია დასრულდეს 2019 წლის 1 აპრილამდე.

მუხლი 6. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**